№ 30. 31 ივლისს 1871 31 ივლისს № 30.

დროება

გაზეთის ფასი

	თფილისში და გარეშე ადგილებში: ბაგზავნით	გაუგზავნელათ:
ერთისს წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2
ერთის თვისა	— 1 —	— — — „ — 75 კ.
ცალკე ერთის ნომრისა		— — — „ — 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით —ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, ბელის-ქალაქშვილის და კომპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ბ. კალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ-

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

შინაარსი

საქართველო: მოგზაურობა მარტვილიდგან კიწიამდინ.—უცხო ქვეყნები: საფტანგეთი, —შვეიცარია.—რუსეთი: წვრილი ამბები.—სამართალი: პოლიტიკური პროცესსი პეტერბურღშ.—ნარევი. — ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ფელტონი: ცხელ-ცხელი ამბები.

საქართველო

მოგზაურობა მარტვილიდგან კიწიამდინ *)

ერთს პარასკევს დღეს მე და რამდენიმე ჩემი ნაცნობები გავემგზავრენით სოფელს კ წიასაკენ. მარტვილის გორას ჩამოვცდით თუ არა, შევედით ნაოლალევში, სადაც მრავალი ხალხი იყო შეკრებილი „პარასკევობის“ მიზეზით. ხალხის სიმრავლემ ძალიან გამაკვირვა და კიდეც დამაფიქრა. ბანა, ეს ხალხი საქმეს მოკლებულია, ვიფიქრე მე, რომ ყოველ პარასკევს აქ იკრიბება? ან არა და როგორ დავიჯერო, რომ ამათ შინ საქმე არა აქვსთ და უსაქმოობის მიზეზით დროების გასატარებლად აქ გროვდებიან! იქნება ეს ჩვეულება სასარგებლო იყოს და თავის კარგის დანიშნულებით ასე უხვათ იზიდავს ხალხს? იქნება ცუდი ჩვეულება იყოს? და თუ ცუდია, მაშ რათ არ მოსპობენ? და სხვანი მრავალი ამ გვარი ფიქრები და კითხვანი დაიბადნენ ჩემს თავში. მაგრამ ეს ჩემი ფიქრები მალე დაწყნარა ჩემი თვალითვე ნახულმა გარემოებამ. მივიხედ-მოვიხედე თუ არა, ვნახე, რომ იქ უსაქმოდ არავინ არ იდგა: ზოგი ვაჭრობდა სხვისაგან, ზოგი ჰყიდდა და ზოგი ერთმანეთში საგნებსა სცვლიდნენ.

აქ ბევრი იყო ყმაწვილი, ვაჟ-კაცი, პატარა ქალები, დედაკაცები და ბებრები; თითოეულს ამათგანს რამდენიმე საგნები ეჭირათ გასასყიდათა და ცარიელი მათში იშვიათად იპოვებოდა. ყველანი თამამათ ეეაჭრებოდნენ მოვაჭრეთა: ქათამს, კვერცხს, ყველს, ღომს, სიმიდს; სცვლიდნენ მარილზედა, ფეხთ-საცმელზედა, თავს-სახურავებზედა და სხვაზედ, რაც ეჭირვებოდათ. აქავე ვნახე რამდენიმე მოსაძსახურე პირნი, რომელნიც სოფლელებისაგან გამოტანილს საგნებსა: ქათამსა, ყველსა, ოთხ-ფეხსა, რაც კი გლეხს გასასყიდათ შემოეტანა, ყველას პირდაპირ ყიდულობდენ „უშუამავლოდ“ და უჩარჩოთ.—ერთი სიტყვით აქ მე ვნახე „მწარმოებელი“, რომელიც პირდაპირ, უშუამავლოდ, ჰყიდდა თავის ნაწარმოებ საგნებს „მომხმარებელზედა“. ვინ არ იცის, რომ იმ ჩარჩებისა და ვაჭრების შემცირება და მოსპობა, რომელნიც მტაცებლობით და ხალხის მოტყუილებით სცხოვრებენ, ქვეყნისათვის ძალიან სასარგებლო იქნება. ამ საქმეში ჩვენ ქვეყანას ძალიან ეხმარება „პარასკევობ.“

ველა ახლო-მახლო სოფლებიდამ რომელსამე ალაგას შემოაქვთ გლეხებს თავიანთი ნაწარმოები და აქ პირდაპირ, როგორც ზევითა ვსთქვით, მომხმარებელნი ყიდულობენ იმათგან. რასაკვირველია, რომ ამათგან ესენი უფრო იაფათ იყიდიან, ვიდრე ჩარჩისა და ვაჭრებისაგანა და ამას გარდა თუ რამე სარგებლობა იქნა, ეს სარგებლობა თვითონ მშრომელს რჩება და არა ვიღაც უცხო პირსა. ახლა ავიღოთ ისა, თუ რა დაეკლდება უ „პარასკევობოთ“. ჩარჩები—ვაჭრები წავლენ სოფლებში, (როგორც ქართლში და კახეთშია), იყიდიან გლეხებისაგან ნაწარმოებ საგნებსა იაფათ დიდის საწონით,— საწყაოთი და სახოვმითა, მოაქვთ და ჰყიდიან ქალაქში ძვირად, პატარა საწყაოთი, სახოვმითა და საწონითა. ამ შემთხვევაში პირველად ვაჭარი არ აძლევს იმ ფასს, რათაც საგანი ღირს; მაშასადამე გლეხის 'მრომა ღირსეულათ არ ისაჩუქრება, და მეორედ გაჰყიდის საგნებს იმაზედ მეტათ, რათაც ისინი ღირან, ბიჰყიდის მცირე საწყაოთი, საწონითა და სახოვმითა, — მაშასადამე აქაც იპარვენ. ესრედ: ჯერეთ ვისგანაც ყიდულობს ვაჭარი, იმას ატყუებს ფასში და მერე ვისზედაც ჰყიდის, იმასაც ატყუებს, ასეთი გარემოება საზოგადოებისათვის, რასაკვირველია, არ არის კარგი იმისათვის, რომ, როგორც მწარმოებელს, ისე მომხმარებელს აკლდებათ საზრდო საცხოვრებელი და ამისა-

*) ეს სოფლები ორივე სამეგრელოშია, სენაკის მაზრაში.

ფელტონი

ცხელ-ცხელი ამბავი!

რა გუნებაზედა ვარ!..... ჩაშაქრულ-ჩაშარბათებულზედ!... აბა ახლა რაც უნდა დავსწერო, ტკბილი და სატლაკავი იქნება!... წინ მიდგას შაქრის სტოლი, ზედ ტკბილი-კვერ გადაფარებული, კრიპუჭის საწერელში მისხია თაფლის მელანი, კალმიათ გამოჭრილია ჩემი საყვარლის ფრჩხილი და ქაღალდათ მისი ბოროლის მკერდი!!... ფიშ! ფიშ! ფიშ! მოდი და ახლა შენ მოახერხე უსიამოვნოს რისმე დაწერა!! ასე მგონია, რომ ქვეყანაზედ მხოლოდ ერთი ბედნიერება, სიტკბო და სიმართლე არსებობსო! შავი თეთრად მეჩვენება, თეთრი უთეთრესად, ნაღველი თაფლად, ეკალი ვარდად, ყვავი ბულბულად და ეშმაკი ანგელოსად!.... ჰე, აბა სანამ ამ გუნებაზედ ვარ, მალე შეუდგები წერას, რომ ის დავსწერო, რაც მეჩვენება:—ჰოი საყვარელი! რა საამოთ გათეთრებულან ეს ჩემი ძველი ნაცნობები, დამტკბარან თაფლივით, გულზედ ვარდის კონები არჭვიათ, ბულბულივით ჭიკჭიკობენ და ანგელოსებივით იყურებიან!.... მეც მინდა, რომ თავი მოგაწონოთ, ჩემო ნაცნობებო, და, რაც უფრო გიამებათ, ის გითხრათ. აბა მითხარით თქვენი გულის პასუხი? რა გიამებათ?.... ამთქნარებთ?... ჰო, მივხვდი, მიეხვდი რაც უფრო გესიამოვნებათ და უფრო ყურსაც დაუგდებთ: ზღაპარი! ზღაპარს უფრო ყურს დაუგდებთ, რადგანაც ტკბილათ გეძინებათ. მაშ კარგი! აჰა, ესეც თქვენი ხათრი იყოს, მომიხსენებია შემდეგი ზღაპრები:

I

ერთი ფარა ცხვარი დადიოდა თავისუფლად, თანაც ერთი ძაღლი დაჰყვებოდა და ყოველთვის ყეფაში იყო, ისე რომ სწორეთ თავი მოაძულა ცხვრებს. აუტყდენ ცხვრები: რა უბედურებაა, რომ ეს ძაღლი აღარ გვასვენებსო! ნეტავი რა სარგებელი მოაქვს ამის ყეფასაო? ურთა-სმენა აღარა გვაქვს ამისაგან და ბულბულების ჭიკჭიკიც აღარ გვესმისო! ერთი სიტყვით, იმოდენათ შეაწუხეს ეს ძაღლი, რომ ველარ გაუძლო მათს დევნას და დანება ცხვრებს თავი, მოშორდა; თვითონაც მოისვენა და ცხვრებიც გახარებული დარჩნენ.—ბამოიარა მცირე ხანმა და მისთანა თქვენ მტერს, ცხვრებს საქმე მოუვიდათ: ძაღლის ყეფა რომ ველარ გაიგონა მგელმა, იფიქრა: მისთანა სიზმრებსა ვხედავ, რომ, მგონია, ჩემი ბედი აკუნტრუშდაო; მიუახლოვდა ცხვრის ფარას და, ძაღლი რომ ველარ დაინახა, გაერია შიგ, ხან ერთს შეაჯდა ზურგზე და ხან მეორეს! ჰქიჩნიდა უმოწყალოდ!.... შეეიწროებულმა და ბედის მაწყევარმა ცხვრებმა ღმერთებს მიჰმართეს ვედრებით: „ოვლის შემძლებელო, ისევ წალმა მოგვიბრუნე ჩვენი ბედის ჩარხიო! აქამომდე ძაღლისაგან აღარა გვქონდა ყურთა-სმენა და ახლა მგელი უარეს გვიშვრება: ზურგზედ ტყავს აღარ გვარჩენსო!“ იუპიტერმა მიუგო: „თქვენ უგუნურებო, თქვენაო, ის ძაღლი მიტომ კი არა ჰყეფდა, რომ თქვენ შეეწუხებინეთ; არა, მიტომ არ ისვენებდა, რომ თქვენი მტერი მგელი შეეშინებია და ეგ დღე არ დაგდგომდათო. თქვენი ერთგული თქვენვე მოიძულეთ და აბა ახლა რაღას მაწუხებთ?!“ შეწუხდენ ცხვრები და ისევ შეეევედრენ: „რადგანც მისი დაბრუნება აღარ შეიძლება, ერთი პატარა ლეკვი მაინც გვიბოძეო!“— მაშინ გარისხებულმა ღმერთმა მიაყვირა:“ თქვენ ისეთის ჯინშისა ხართ, რომ კუდი მოკლე გაქვსთ და რქები დიდიო და სანამ მაგ რქებს არ მოიცელით და ტყავს კუდის რიკამდე არ ჩაგახევენ, ვერც ძაღლს იგუებთ და ვერც კატასო! ბულბულის სტვენით მტერი ვის მოუგერებიაო? წაბრძადით და ახლა თქვენს მელიებს დაეკითხეთო!..

II

სამართლის მოყვარე ხელმწიფეს, სხვათა შორის ერთს საწყალს კაცსზედ უფრო ბევრი საჩივარი შემოუდიოდა; დღე არ გავიდოდა, ათი საჩივარი მაინც არ შესვლოდა, მაგრამ სულ ქალებისაგან იყო შემოტანილი. დიდ ხანს ითმინა ხელმწიფემ და ბოლოს იფიქრა, რომ ის კაცი ვინცალა არის, სწორეთ საძაგელი კაცი ყოფილა, თორემ ქვეყანა ასე როგორ გადაემტერებოდაო. დაიბარა ერთი დღისთვის მომჩივრებიცა და მოპასუხეც. მოიყარეს თავი მომჩივრებმა; მაგრამ სულ ქალებმა! სულ ქალებმა! ასე რომ ათასზედ მეტი მოგროვდა და ყველა ერთ-ხმათ ეევედრებოდა ხელმწიფეს იმ კაცის ჩამოხრჩობას. ხელმწიფე, თითქმის, კინაღამ ნებაზედ დაიყოლიეს, მაგრამ მოპასუხემ იმარლთა თავი და მოახსენა ხელმწიფეს: „ბატონო, ნურც მარტო მაგ ქალების საჩივარზედ გაიღლით, მაგათ გარდა ერთი ორმოციოდე ქალი კიდევ დარჩა ჩვენს სოფელში და თუ ისინიც შეგეევედრებიან ჩემს ჩამოღრჩობას, მაშინ თანხმა გაეხდები, მადლობაა ღმერთსაო! დაეთანხმა ხელმწიფე, მიაყვანინა ის დანარჩენი ორმოცი ქალიც და დაეკითხა მათც. იმათ ერთხმათ უქეს ხელმწიფეს მოპასუხე და შეევედრენ მის გაბედნიერებას. ბაკვირვებულმა ხელმწიფემ უბრძანა მოპასუხეს, ეს რას ნიშნავს, ამდენი მასისხარი მტერი გყოლია და ამოდენი კი გულითადი მეგობარიო? „დიდებულო ხელმწიფეო, ჯერ ის დაათვალიერეთ, თუ იმ ათასს ქალში ერთი უმახინჯო ერიოს და ამ ორმოცში ერთი მახინჯიო და მაშინ მოგახსენებ პასუხსაცაო.“ უპასუხა საწყალმა. მართლა დაც: დაათვალიერა ხელმწიფემ და როგორც იმ ათასსში უმახინჯო ვერვინ შენიშნა, ისე იმ ორმოცში მახინჯი, და გაკვირვებით ბრძანა: „ეს მართლა, რას ნიშნავსო?“ რა ვიცი რას ნიშნავს, ჩემო ხელმწიფეო! მიუგო მაშინ მოპასუხემ; არც არაფერი ერთისთვინ დამიშავებია, და არც არაფერი მეორესთვის გამიკეთებია. მე ერთი საწყალი ხელოსანი კაცი ვარ, მესარკე, სარკეებს ვაკეთებ ხოლმე, ლამაზები ჩაიხედვენ შიგ, ლამაზათ გამოჩნდებიან და მახინჯები მახინჯებათაო! მე მიტომ ვაკეთებ, რომ ლამაზმა შიგ იკეკლუცოს და მახინჯმა და გაბერილმა სახე გაიწმინდოს და გასწორებას ეცადოს, ესენი კი თავის მახინჯობას ჩემს სარკეს აბრალებენო! და ახლა რისიც ღირსი ვიყო, ის მომანიჭეთ, დიდებულო და სამართლიანო ხელმწიფეო?“ მოეწონა ხელმწიფეს ეს და გამოსცა ბრძანებს: დღეის იქით აღარავინ გაბედოს საჩივარი აღარც მესარკეებზედ და აღარც მწერლებზედ, რადგანაც ორივე ერთმანეთს ემსგავსებიან მოხელობითაო!—

III.

ერთს მზეთ-უნახავს, უზომო და გარყვნილ ცხოვრებისგან დაზიანებულს და დასუსტებულს, გამოეცხადნენ ერთს დროს ორი უცხო ქვეყნიდამ დაბრუნებული ყმაწვილი კაცი. ორივე მშვენიერები, ძარგი ნასწავლი და მზეთ-უნახავისადმი სიყვარულით აღსილი!... უნახა პირველმა მაჯა და შეატყო, რომ, თუ ეს ქალი ახლავე არ შეუდგა თავდარიგს, ამ ორი წლის განმავლობაში ან სულ მოკვდება და ან ისე გაფუჭდება, რომ საზიზღარი სანახავი იქნებაო! მაშინვე დაუფარავად უთხრა ესეები ყოველივე მზეთ-უნახავს, დაარიგა და რაც მისი სასარგებლო, მაგრამ უსიამო წამლები იყო, ის ასწავლა!... მეორემაც უნახა თუ არა მაჯა, ისიც ისე მიხედა მზეთ-უნახავის სნეულებას, როგორც პირველი, მაგრამ რაც მზეთუნახავის სასიამო, მაგრამ მაინებელი ქცევა და წამალი იყო, ის ურჩია ღიმილით!... რასაკვირველია, მზეთუნახავს პირველი ექიმი უსიამოდ დარჩა და ამას ფიქრობდა: რა საძაგელი კაცი უნდა იყოს და უზდელი, რომ ნახვისა თანავე უსიამოვნობით გული შეამიწუხაო! მეორეზედ კი გულმა ბევრი რ-

თვის ცხოვრება ძვირად უჯდებათ და თითქმის შეუძლებელი უხდებათ. რათ არ გაუჭირდებათ ცხოვრება, მაშინ როდესაც საწყალი გლეხები თავიანთ ნაწარმოებს ნახევარ ფასათ ძლივს მიყიდიან ვაჭრებსა?

წარმოიდგინეთ გლეხის მდგომარეობა: ესთქვათ დასჭირდა ორი აბაზის შოვნა ხარჯისათვის ანუ სხვა რისთვისმე. სად უნდა იშოვნოს? რა წაიღოს და ვის რა მიჰყიდოს? იმან რა იცის, ვინ რა საგანს საჭიროებს, და თუნდ იცოდეს, რომ ესა და ეს ვაჭარი ამა და ამ საგანს იყიდისო და კიდეც მიუტანოს, განა ის ვაჭარი იმაში იმ ფასს მისცემს, რათაც ის საგანი ღირს? რამდენათაც ვაჭარი შეატყობს, რომ გლეხს ძრიელ უჭირს ფული, იმდენათ ის უფრო ნაკლებს ფასს შეაძლევს, და იმდენათ უფრო ისე უჩვენებს თავს, ვითომც იმას იმ საგნის ყიდვა არ უნდოდეს. ახლა აიღე მომხმარებელი. ესთქვათ ეს საჭიროებს ღომსა. ვისგან უნდა იყიდოს? ვაჭრისაგან ხომ ესთქვით, რომ სასარგებლო არ იქნება. მაშ ვისგან? უთუოთ სოფლელს გლეხისაგან. მაგრამ ეს ვერ მოხდება, ამიტომ რომ არ იცის ვის ექნება ღომი გასაყიდი და აბა ვისთან მივიდეს? (ნუ დავიწყებთ, რომ მეგრელები გაფანტული სცხოვრებენ და იმათი სახლები ერთი ერთმანეთზედ საკმაოდ მოშორებით არიან) და ან სადა აქვს იმდენი დროება, რომ კარ-და-კარს იაროს და უძახოს: ღომი ვისა აქვს გასასყიდიო?! აქედგან გამოვა ისა, რომ იმას დარჩება ნუგეშათ მხოლოთ ისევ ჩვენი ჩარჩები—ვაჭრები, თუ რომ ამ გარემოებიდგან ისევ ჩვენი ღეგრძელი „პარასკეობა“ არ იხსნიდეს, სადაც თავის თავათ და მოუწოდებლად 15-ტი და 20-კი ვერსიდგან იკრიბებიან სავაჭროდ, და სადაც გამოაქვსთ ყოველივე გასასყიდი ნივთები, ვისაც კი რისამე გაყიდვა უნდა. აქაც იკრიბებიან მომხმარებელნი და ყიდულობენ, რაც იმათ დასჭირდებათ ერთის კვირის განმავლობაში მაინც.

ზემოხსენებული დამოკიდებულება ვაჭრებთანა და ჩარჩებთანა საზოგადოებისათვის, რასაკვირველია, არ არის კარგი ერთი იმიტომა, რომ ვაჭრებს ეძლევა შემთხვევა სარგებლობისა და რამდენიც ვაჭარი ისარგებლებს, იმდენი ისინი უფრო გამრავლდებიან, რადგანაც ვაჭრობა ანუ ჩარჩობა უფრო ადვილი და მსუბუქი საქმეა, სანამ წარმოება და მძიმე მუშაობა; და რამდენიც ვაჭრები უფრო განმრავლდებიან, იმდენი მუშა-ხალხს მუშა ხელი მოაკლდება, და აქედამ უფრო სილარიბე დაიბადება. პარასკეობა კი ამ საუბედურო გარემოებიდგან ვეიხსნის და იმიტომა აქვს იმას ჩვენში ესეთი მნიშვნელობა. ამას გარდა პარასკეობაში საზოგადოება ერთი ერთმანერთს ხედამს, ერთი ერთმანეთს შინჯამს და ერთმანეთს ამჩნევენ მეტ-ნაკლებულობას, და თუ ერთმანეთს მეტ-ნაკლებულება შეამჩნიეს, რასაკვირველია, რომ ისიც საფიქრებელია, წაჰბაძონ კარგსა და კეთილსა და მოეცალონ ცუდსა და ბოროტსა.

პარასკეობაში ერთს ცუდს მხარესაც უჩვენებენ. ამბობენ, ვითომც პარასკეობაში ბევრი ხალხი დაიარება იმ დროს, როდესაც შინ მუშაობა უფრო სარგებლობას მოუტანდაო; მაგრამ მე ნამდვილათ ვიცი, რომ, როდესაც ხალხი ღომს და სიმიდს ჰკრებს, ანუ მარგლავს, მაშინ პარასკეობაში ძრიელ ნაკლებათ დაიარება. და როდესაც შინ საქმე არა აქვს და ცუდათ ჩიბუხის წევაში ატარებს დროებას, მაშინ, რასაკვირველია, საქმეც რომ არ ჰქონდეს, პარასკეობაში მიდის,—ხალხს მაინც დაინახავს, გაიგონებს რასმე მაინც. აქ ერთი შემთხვევა მაგონდება: ერთი კაცი შედგა მაღლა დუქნის ბანზედ და პარასკეობაში შეკრებილს ხალხს გადმოსძახა სამჯერა მეგრულს ენაზედ: „ხალხო, გეყურებოდეთ, ამა და ამ კაცსა სამი ძროხა დაეკარგა, ვინც იმას იპოვნის და მოურეკავს პატრონს, ის მიიღებს ერთს თუმანს საჩუქარსა.“

ეს ჩვენი პარასკეობა ისე არა რჩება, რომ მას ხალხის გონებაზედაც არა ჰქონდეს გავლენა: შენიშნულია, რომ ანგარიშის და ვაჭრობის მიმყოლი ხალხთ უფრო ჩქარა წავა განათლებაში, სანამ უბრალო მიწისა, და აი, მეგრელები ამ მხრით ვაჭრობასა და ანგარიშს არ არიან მოკლებულნი. ქვირაში ერთხელ მაინც ხედავენ ვაჭრობასა და ანგარიშს; როგორ ვერ ისწავლიან ვაჭრობას და ანგარიშსა, როდესაც 6-სა და 7-ს წლიდგან ვაჟიც და ქალიც გამოდის პარასკეობაში და თავისუფლად ვაჭრობს. აბა, კიდეც ეს არის მიზეზი იმისა, რომ მეგრელებს ვაჭრობა უფრო ეხერხებათ, სანამ სხვა საქართველოს ხალხსა. აბა, კიდეც ეს არის მიზეზი რომ აქაურმა 7-ს წლის ყმაწვილმაც კი იცის ფულის ანგარიში და ქართლელმა და კახელმა ოცის წლის გლეხებმაც ძლივს იციან.

ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა ამისთანა დაწესება სხვა საქართველოს ნაწილებშიაც იყოს. ძალიან კარგი იქნება, რომ ამას ითავებდნენ მამასახლისები და რამდენსამე ახლო-მახლო სოფლებს შუა დააწესებდნენ პარასკეობასა.

პატარას გავცდით თუ არა ამ კრებას, შეგეხვდა მეორე კრება. აქ იყო მოწოდებული 700 კომლიდგან, კომლზედ თითო კაცი, მამასახლისის აღმოსარჩევათ და საშინელი ხმაურობა მოისმოდა. ოტა ხანს შემდეგ ამასაც მივშორდით და გავიარეთ ექვსიოდ ვერსი. მივედით სოფ. ოფუცხოლში, სადაც არის „ჩახრიალა“ (Водопадъ) აბაშა წყლისა. აქაც გულმა არ მოგვითმინა და ესეც უნახავი არ გაუშვით. სწორეთ უნდა გითხრათ, რომ ეს ჩახრიალა ძალიან სასიამოვნო რამ არის. მისი ფოტოგრაფს შეუძლიან და აღწერა პოეტსა. მე ორთაიეში ნაკლებათ ვარ დახელოვნებული და ამისათვის ცოტა ვერ ვიტყვ, რასმე შეგატყობინებთ.

აბაშა ჯერეთ მომდინარეობს დინჯათ, მერე უცფათ მოსხლეტით ჩაეშვება ძირს ხუთ საჟენ სიღრმე ღრანტეში; შუაში უცბათ შეხვდება პატარა კლდის წვერი, რომელიც მთლათ ამტვრევს იმოდენა მდინარე წყალსა და ძირს თეთრი თოვლის ფერფლების ფრად ჩადის საშინელის ღრიალით, ქუხილით და ხუილით. მერე ისევ დინჯათ მიდის, თითქოს აქ არაფერი არა მომხდარაო. ღრანტე თითქმის ოცის საჟენის სიგძეზედ სულ სავსე არის წყლითა, აქეთ-იქიდგან კიდეები არა აქვს, რომ ან კაცმა ფეხი მოიკიდოს ან როგორმე შეიაროს და ახლო მივიდეს „ჩახრიალასთანა“; მხოლოდ ზემოდგან შეუძლიან ჩაიხედოს ღრანტეში. ღრანტეს ზემოთ პირი ვიწრო აქვს და ძირი განიერი სავსე წყლითა. აქ კაცი ვერ ჩავა, თუ „ჩახრიალას“ ზემოდამ თოკით არ ჩაუშვეს; ქვემოთ კი თლილის ქვის კიბეებია ჩატანილი წყლამდინ და იქ ჩავა მხოლოთ კაცი. შუა ამ ღრანტეზედ არის ფიცრის ხიდი გადებული, საიდანაც კარგათა სჩანს „ჩახრიალა“. მხარ მარჯვნივ აქვს პატარ-პატარა ბულვარები და ბილიკები ღრანტეს მისაახლოვებლად, რომლებიც არიან ტყეში გაკეთებულები და აქეთ-იქით ბზის ხეებითა შემკულნი. სულ მაღლა არის ფიცრის კარაული დადგმული, შიგ გრძელი სტოლები და სკამები მოსეირნეთა სადილის მისართმევათ და აქვე ერთი ფიცრულის ოთახი *). ჩვენ ყველა ეს ბილიკები დავიარეთ, ყველა მხრიდგან გავშინჯეთ ეს ალაგი. როდესაც ფიცარის ხიდიდგან ვიყურებოდით, შევნიშნეთ რომ თევზები მისს მორევებში ქარვან-

*) ესენი სულ ყველანი გაკეთდა უფ. ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებითა.

კარგი უთხრა და რამდენათაც პირველი შეიძულა, იმოდენათ შეორე შეიყვარა!.... დაბრუნდენ ყმაწვილები თავთავის ოთახში და დაიწყეს სამკურნალო წამლების მზადება.—პირველმა იფიქრა: „ეს ჩემი წამლები იმ მზეთუნახავს კი მოარჩენენ, მაგრამ მე დამრჩებიან ავათო! სიცოცხლეს მომიწამლენ, სიმრთელეს დამიკარგვენ და ვინც მიყვარს, იმასაც დამამტერებენო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ისევ მე გავუბედურდე, ის მირჩევნია, ვიდრე ჩემი საყვარელი მზეთუნახავი ვნახო დამახინჯებული!“ ეს გადიწყვიტა თავის გუნებაში და შეუდგა წამლების მზადებას: ამოიღო თავისი ნაღველი, გალესა თავის ცრემლებში, ჩააწვეთა ოფლი და შეადგინა სამკურნალო. მეორემ იფიქრა: „მე თუ იმას ნამდვილი სამკურნალო წამალი შეუმზადე, საწყენათ დარჩება, ჩემთავსაც ვერას ვარგებ და რათა ექნა ესაო? მისთანა წამალს გიუკეთებ, მის გულს იამოსო; მით თავს შევაყვარებ, დიდს პატივში ვეყოლები და ბოლოს, თუ აწყენს, ჯანიც გავარდეს, რას დავსდევ, მე ხომ მაინც გაბედნიერებული დავრჩებიო! თუ არ ეშმაკობითა და მოტყუებით, ისე სიმართლით ვინ გაკეთებულა.“ ეს გადასწყვიტა და გააკეთა შარბათი. მეორეს დღეს ორვეთა მიჰმართეს მზეთუნახავისაკენ.—პირველს, ხვეწნა, რჩევა და ვედრება რომ აღარ გაუვიდა, ძალა იხმარა, ჩაასხა სამკურნალო მწარე წამალი პირში ავათმყოფს და ისე დაალევინა. ზაანჩხლებულმა მზეთუნახავმა, მეტის სიკაპასით სულ წვერ-ულვაში აგლიჯა, ექიმს ტანისამოსი დაახია, სახე დაუფხაჭა და ასე გამოაგდო კარში. მეორემ, რამდენიც შეიძლო, დაუყვავა, დაალევინა შარბათი და, ისე დაატკბო, რომ გული მოუბრუნა. მზეთუნახავმა ისე გააბედნიერა და ისე შეიყვარა, რომ საყვარლათაც კი აიყვანა!.....

ბანელო დიდმა ხანმა. ერთს დღეს, როდესაც სრულიად მორჩენილი და გაბდღეალებული მზეთ-უნახავი მისის პატარა ლამაზის და ტანმრთელის ვაჟით ბაღში დასეირნობდა, შეხვდა ერთი გლახაკი. შეხვდა და სიამოვნებით დაუკრა თავი.

— ვინა ხარ შენ? ჰკითხა მშვენიერმა და შეაჩერდა გაშტერებით.

— მე ისა ვარ, ვისიც წყალობით შენ დღეს ისე მშვენიერი ხარ და ვისიც სიყვარული უნდა გქონებოდაო. მიუგო გლახამ.—

ბეტყობა, რომ ისე მშვენიერი არაოდეს არ იქნებოდი, რომ მე შენი შეყვარება შემძლებოდაო. სიცილით უთხრა თავმომწონე ლამაზმა.

— არა, შენ საყვარელს კიდევ მე ვჯობდი სილამაზით, მიუგო მან; მაგრამ, როდესაც შენს ჰაქიმობას შეუდექი, მაშინ ჩემი ნაღველი დავიმთხიე და გავყვითლდი, ვიტირე და თვალს ჩინი მომაკლდა, თმა და წვერ-ულვაში შენ დამაგლიჯე, სახე დამიბრჭყალე და დღეს რაღათ გიკვირს, რომ კარგი აღარ ვიყოვო?!...

ამ სიტყვებმა შეარცხვინეს მზეთუნახავი, ამოიღო ქისა და დაუპირა ფულის ჩუქება, მაგრამ გლახაკმა უარი უთხრა:

— ჩემი ჯილდო დღეს მე მიღებული მაქვსო: თუ არ ჩემის შრომითა, ჩემის წამლებით, დღეს ველარც შენ გნახავდი მანგრე მშვენიერს და არც ის შვილი გეყოლებოდა მშვენიერი და ტანმრთელიო. ჩემი თავ-მოყვარება დაკმაყოფილებულია თქვენის ბედნიერების ნახვითაო.

ეს უთხრა და დაადგა თავის გზას. წარემართა სასაფლაოსაკენ.—

აქ კიდევ მინდოდა სხვა ზღაპრებიც მეთქვა, მაგრამ ე წყეული ბუზები დაეხვიენ ჩემ ტკბილ მასალაებს და მასთანაც მეშინია, რომ თქვენი გულიც არ დავშაქრო, ისე რომ ზედ ბუზები და ჭიები დაგეხვიოსთ.—ჰო, მართლა ამ ბუზებზედ მომაგონდა: იცით, რას მომაგონებენ ხოლმე ჩვენში ლამაზი ქალები მათის შვენებითა და ელვარებით?. ციცინათელას!.. ციცინათელა, ხომ მოგეხსენებათ, მისთანა ჭია არის, რომელიც ბნელ-ღამეში დაფრინავს ხან იქითა და ხან აქეთ და თანაც საამოთ ანათებს. მე ჩემს ერთს ციცინათელათაგანს აი რა ლექსი დაეუწერე:

ჩემო ციცინათელა!
რად მიჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა!!

—

ანათებ და კარგი ხარ,
მე თუმც არას მარგიხარ!..
მსურს გიტვირთო სიამით,
შენ კი სხვისი ბარგი ხარ!!...

—

აბრეშუმის პეპელა,
ფუტკარი და წურბელა,
შენზედ სარგებლიანი,
შენ გენაცვალოს ყველა!...

—

წურბელა მკურნალია,
მაგრამ ოტა მყრალია...
მშიერი სისხლის მტერი,
რომ გაძღება, მთვრალია!..

—

მაშ რათ მინდა წურბელა?
მან გული დამიბნელა.
ისევ შენ და ისევ შენ,
ჩემო ციცინათელა!!!

—

მეორე თაფლს და სანთელს
ბვიკეთებს და სარგებელს,
მით გვაძლევს, მაგრამ კბენით
ბეისივებს ცხვირ-პირს ხელს!...

—

მაშ რათ მინდა ფუტკარი,
მკბენარი, მოისარი?
ისევ ციცინათელა,
უწყინარი ის არი!!

—

მესამე ტანსა გვმოსავს,
წყნარია და არ იქმს ავს;
მაგრამ უგნურებითა
პარკში ილრჩობს თავის თავს!

—

მაშ რათ მინდა პეპელი,
უგნურად თავის მკვლელი!
და როგორ არ მერჩიოს
მასაც ციცინათელი?!..

—

ჩემო ციცინათელა,
საით ჰფრენ ნელა-ნელა?
მე ვარ შენი ერთგული,
სხვა მოგატყუებს ყველა!

—

მებრალები, კარგი ხარ!
და ვაი! სხვის ბარგი ხარ!!
სხვებს ბნელშიაც უნათებ,
მე კი დღეც არ მარგიხარ!!“

—

ნეტავ რისი გაქვს რიდი?
ჩემსკენაც გამოფრინდი,
ნათელი მომაფინე,
მეც გამინათლე ბინდი!.

—

ქმა, რაც დღემდის მაწამე;
აწ საყვარლად მიწა მე.
და მაშინ შენს სიყვარულს
დამავიწყებს მიწამე!!...

—

ჩემო ციცი ნათელა,
სადღა ჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორ-შორ ნათებამ
უდროოდ დამანელა!..

თ. აკ. წერეთელი.

ქარვანობით დადიოდენ და როცა სულ ძირს ჩაეედით თლილის ქვის კიბეზედ, იქ ორი კაცი საიდღანაც გაგვიჩნდა და გვითხრეს: „Უმაწვილებო, არა გნებავთ თევზი დაგიჭიროთ და მოგართოთ“? ჩვენ ამ ნაირმა წინადადებამ გაგვაკვირვა, უფრო ამისთვის, რომ იმათ არც ბადე ეჭირათ ხელში და არც ნემსკავი და ხელით დაჭერა ჩვენ შეუძლებელი გვეგონა, რადგან მორევი ორის კაცის სიმაღლეზედაც მეტი იყო, არამც თუ ნაკლები. ᲯᲔრ ჩვენ ერთმანეთს შევცინეთ და მერმე უთხარი: „ძალიან მადლობელი დაგრჩებით, თუ კი თევზს დაგვიჭერთ“. Ერთმა იმათგანმა მაშინათვე გაიძრო ტანისამოსი, და გადაეელო წყალში: ჩაიყურყუმალავა და ერთს კლდეში შეძერა ნახევროობამდის; ორ მინუტსაც არ გაუელია, გიმოჩნდა, ამოვიდა წყლიდგან მაღლა, და ამოიყვანა ერთი უშველებელი კალმახი. ჩვენ ძალიან გაგვიკვირდა პირველად ისა, რომ იმოდენა კალმახი არსად გვენახა და მეორეთ რომ ის კაცი წყალში თვალგახელილი წვავივით დაეძებდა თევზებსა, წყლის სიწმინდის გამო სულ ნათლად ეხედავდით. Ეს კაცი რამდენჯერმე ჩავიდა წყალში კიდევ იმის შემდეგ და ყოველთვის კალმახები ამოჰყვანდა, მაგრამ იმოდენა კი ველარცერთი ვერ ამოიყვანა. სწორეთ მშვენიერება არი იმის ნახვა, რომ კაცი წყალში ესე Მარჯვეთ იქცევა და კლდეში ისე უშიშრად ძვრება, როგოც თავის სახლში, და თვალ გახელილი თევზებს დასდევს. როდესაც ჩვენ განკვირვებით დავიწყეთ ლაპარაკი ამაზედა, რომ თუ აქ რამოდენა კალმახი სოდნია, როდესაც რომ ჩვენ იმის მესამედიც, თუმცა ბევრი გვიელია საქართველოში, არსად არ გინახავს, მაშინ იმ გლეხმა სთქვა: ეს რა არის, წარსულ კვირას ვიღაცა აპელატიანი ჩინოვნიკი კაცი მობრძანდა სანახავათაო, იმას დაუჭირე სამი ამდენი გამოვიდაო, და უფროც მეტიო. მართლაც და აბა წყალში თევზი ვის აუწონია და ან ვის დაუფასებია, თორემ თვალით კი სჩანდა, რომ მართლა ძალიან ბევრიც არის და ძალიან დიდრონიცა. ჩვენი პირველი კალმახი გამოვიდა ხუთი ოყა (15 გირვანქა). მე არ მგონია, რომ სხვაგან სადმე საქართველოს წყლებში იყოს ამოტენა ტანის კალმახი.

Ეს „ჩახრიალა“ ყველას მოსწონთ მნახველებსა და ამის მნახავები ბევრნი მოდიან Იმერეთიდგანაც, Სამეგრელოდგანაც და როგორც გვესმის, უმეტეს ნაწილნი მათგანი კმაყოფილნი მიდიან თევზით, რასკვირველია, თუ რომ იმათ შეხვდათ იქაურივე მეთევზე, თორემ სხვისთვის ძნელი იქნება იქ თევზების ჭერა, რადგან, როგორც ნათქვამია: „ადგილის კურდღელს იჭერს ადგილისავე მწევარი“.

Ამის ნახვა რომ გავათავეთ და ცხენებზედ შევსხედით, ჩვენმა წინამძღოლმა გაგვიშვირა ხელი მარცხნივ და გვითხრა: „ᲗᲐვის საბანს მიწას აიქა სთხრიანო.“ Მაგრამ, რადგან შორს მოჩანდა, ამისათვის წასელა დავიზარეთ. „ᲗᲐვის საბანი“ მიწა გავს სუფთა თეთრს თიხას და ხელი რომ წაუსვა, ისე ისხლეტამს, როგორც საპნის კვნიტი; ყველა შეატყობს თვალითა და ხელითაცა, რომ იმას უთუოთ საპნის თვისება უნდა ჰქონდეს და მართლაც აქვს. მე ბევრჯელ დამიბანია ამითიც და საპნითაც, მაგრამ იმას უჯობნებია საპნისათვისა, რადგან საკვირველად სწმერდს თმას, ალბობს და არბილებს. Ამისათვისაც აქაურები ამ მიწით იბანენ თავსა. Ეს მიწა აქაურ პატარა ბალღებს გამოაქვთ პარასკეობას გასასყიდათა. მიწას ყიდულობენ არა მარტო აქაურები, არამედ ბევრი Იმერლებთაგანიცა, ვინც კი იმის თვისება იცის.

Პატარა ალაგი რომ გავიარეთ, ვნახეთ ისევ Აბაშა—აქ სულ სხვა ნაირის ხასიათისა; ჩვენ ის ჩახრიალა გვიკვირდა და აქ უფრო კარგები ყოფილა. Აქ, ᲗᲔრგვივით, ეს Აბაშაც კლდიდგან კლდეზედ ხტის, ღრიალებს და ისე მირბის ერთს შეუვალს და მიუდგომელს ღრანტეში. Შავსცდით იმასაც და გავიარეთ რამდენიმე ვერსი, გზა იყო გაუკეთებელი, აღმართ-დაღმართიანი: ზოგან საფლობი ტალახი, ზოგან მშრალი, აქეთ-იქით ტყე და მინდვრები საესე მარწყვითა.

ჩვენ მივედით Ტეხურთან, რომელიც საკმაოდ მოზდილი წყალი არის და მოდიდების დროს გასელა ფონათ შეუძლებელია. ჩვენ რომ მივედით, კარგათ-გვარიანათ შემატებული იყო, და ამისთვის ცხენების გასელა საეჭეოთ შეგვექნა. ჩამოვხტით ცხენიდგანა და იქ უცბად წავადექით ხიდსა. Ამ ხიდს შეეხედეთ თუ არა, მოგვაგონდა „ბეწვის ხიდი“ *). მართლაც ბეწვის ხიდს გვანდა. Ამ ხიდის მნახველი უთუოთ იფიქრებს, რომ აქ მოხერხებული ხალხი უნდა სცხოვრებდეს. Აი თვით ხიდი როგორია: ექვს შვიდს საჟენს წყლის სიგანეზე არის უბოძოთ მრგვალი ხის ხიდი გადაელებული, ის არც არის რკინებით დამაგრებული ერთმანეთზედ და არც თოკითა. მეგრელებს სცოდნიათ ფიზიკური კანონები და იმ კანონებით უმოქმედებიათ ამ საქმეში. Სცოდნიათ, რომ მოკაკული ხე, რომელსაც ზურგი ზევით აქვს აშვერილი, არ გატყდება ადვილათ, ზურგზედ რომ სიმძიმე რამე დაადგან, თუ რომ თავი და ბოლო მაგრათ აქვს რაშიმე უძვრელად დამტკიცეთ და გამაგრებული და ამ ცოდნით უსარგებლიათ. Წყლის სიგანეს ერთი გრძელი ლატანი **) რომ ვერ გადასწდომია, ორი ერთი ერთმანეთზე წვერებით გადაუბამთ და ისე გაუწყვიათ სამი-ოთხი წყვილი; ყველა ესენი ცისარტყელასაებ გადაუელიათ Ტეხურისათვის. Ლატნების ძირები კი აქეთ-იქით ნაპირებში ძალიან მტკიცეთ და უნძრეველათ არიან დამაგრებულები და ზევით კი ერთმანეთზე არიან მიკრულნი ვაზის წნელითა. Აქეთ იქით ხელის მოსაკიდებელი მოაჯირი აქვს გაკეთებული კაცის გადაუვარდნელობისათვის. Პირველად რომ კაცი შედგება ამ ხიდზედ, ვერაფერსა გრძნობს, ამიტომ რომ მსხვილი ძირებია ხიდის პირში და არ ინძრევა ხიდი, მაგრამ რამდენიც ზევით და ზევით წავა, იმდენი უფრო ქანაობს და სულ შუა ალაგზედ რომ მივა, მაშინ ჯერეთ ხიდი ქანაობას მოუმატებს და ამას გარდა ისე გაწვრილდება ხიდი, რომ კაცი იმედს ჰკარგავს, ეგონება ეს არის ეხლა გაწყდებაო და შიგ შუა მორევში ჩავარდებიო; და ამისთვის, მეტადრე ხამი, შიშისაგან მოიკაკვება და ფრთხილათ ადგამს ფეხს, რომ არ ჩატყდესო, მაგრამ სულ ტყუილია ხიდი მაგრა სდგას, თუნდ ხუთი და ათი კაცი გავიდეს ზედა. Ამ ხიდზედ ვერაფერი ოთხფეხი ვერ გავა გარდა ძაღლისა.

ხიდი ესეთ ალაგზედ არის გაკეთებული სადაც Ტეხური შეკრებილია და ერთად მიდის. ჩვენ ცხენები ვავრეკეთ Ტეხურში და თვით კი ამ ბეწვის ხიდზედ გავედით და წავედით მასპინძლისაკენ. Გზა კიდევ ტყე-ტყე მიდიოდა და იყო გაუკეთებელი, ზოგან თვით ჩვენ ეზოს კარებს ვაღებდით და თითქოს ეზოში ისე შევიდოდით, მაგრამ კიდევ კი გზაზედ მიედიოდით ***). Ამისთანა კარები ჩვენ ბევრი გავაღეთ და ბევრი გავიარეთ და ბოლოს როგორც იყო მივედით ჩვენს მასპინძელთან უფ. Ზ. Ანჯაფარიძესთან. მას ეზო ჰქონდა საკმაოდ ვრცელი და დათესილი კოინდრითა, შიგ ეზოში ბევრი ხილიანი ხეები, საჩდილობლად და ნიავის მოსაზიდავათ იდგნენ და სახლი საკმაო, ოთხ ოთახიანი და სუფთა შპალერით გაკეთებული და შემკობილი ჰქონდა. Მორთულობა სახლის ნახევარი აზიურად, იყო (გრძელი ტახტითა იქით და აქეთ), ნახევარი Ევროპიულად სტოლითა და სკამებითა.

Მასპინძელი ეზოშივე მოგვეგება, რასაკვირველია, მხურვალე გულითა და მიგვიღო ძალიან სიყვარულით. ჩვენ, თუმცა ერთმანეთი გვენახა, მაგრამ გვარიანათ ვერ ვიცნობდით ერთმანეთსა და ახლა გავიცანით თვით ისიც და მისი სახლობაც. Საღამო ხანი იყო. Ჭოგვიტანეს ჩაი; პატარახანს უკან ამას მოჰყვა ვახშამი. ჩვენი მასპინძელი იყო მეგრელი, მაგრამ ისეთ ნაირათ მოიმხიარულა, ისეთი ქეიფი გაგვაწყვინა, რომ მე კახელი კაცი მეგონა. Იმ ღამეს სულ ისევ კახურათ, „ისევ და ისევ ღვინითა, დრო გავატარეთ ლხინითა.“ მაგრამ მე კი მალე მომწყვიტა კისერი „ბორდომ“ და დამაძინა; სხვებს კი მთელი ღამე არ დაუძინიათ. ᲗᲐთენდა, ავდექი და ისინი გორიდგან ჩამოვიდნენ ისევ ღვინით და სტაქნებით ხელში. Ერთი სიტყვით, Სამეგრელოში ვნახე მე სწორეთ კახური ქეიფი და დროს გატარება. ჩვენი მასპინძლის სტუმართ-მოყვარეობა ამით არ გათავებულა: მეორე დღეს მის ძმამ, რომელიც ნახევარ ვერსტით მოშორებით ადგა, დაგვპატიჟა სადილათ. Ამის შემდეგ ნესამე ძმამ, რომელსაც კიდევ საკუთარი მდგომარეობა ჰქონდა.

Პირველის მასპინძლის სახლში რომ ვიყავით, შევნიშნეთ, რომ ერთი ახალ-გაზდა ქალი საკვირველად ცქვიტად იქცეოდა და მისი მიხვრა-მოხვრა ჰგვანდა უფრო ვაჟის მიმოხვრას და საქციელსა. Ამისთვის ერთმა ჩვენთაგანმა ჰკითხა: „Ბრიგოლ! ის ქალი ვაჟი ხომ არ არის? და დაუმატა:“ მისი საქციელი და მიხვარა-მოხვრა ვაჟისასა ჰგავს და იმისათვის გკითხე“. Ბრიგოლმა უპასუხა: „მართალია, მისი საქციელი ვაჟის საქციელსა ჰგავს, ამაზედ მეც დაგემოწმები, მაგრამ ვაჟი კი არ არის, ქალია. Აი მაგისი ამბავი“, განაგრძო იმან: „Ეგ გახლდათ სენაკში, მაგას ჩააცვეს ვაჟური ტანისამოსი და შეიყვანეს ვაჟების შკოლაში, ვაჟებს შორის, სასწავლებელათ. მაგისი ვინაობა არავინ მოწაფეთაგანმა არ იცოდა, არ იცოდნენ, თუ ეგ ქალი იყო, გარდა მასწავლებელისა და ეგ ვაჟური საქციელი და სითამამე სწავლასთან ერთად იქ მიიღო.“

Ამ ამბავმა, მართალი გითხრათ, მე ძალიან გამაკვირვა! რა სურვილი უნდა ჰქონოდათ იმ ქალსა და მის მშობლებს, რომ ამისთანა საქმე ჩაუდენიათ!..

Როდესაც ჩვენ ლაპარაკი გავათავეთ იმ ქალზედა, ჩვენმა მასპინძელმა გვითხრა: „Აბა წავიდეთ, ჩემი ნაკეთები ბაღი ნახეთო.“ წავედით, გადავედით და ვნახეთ. რაც რამ არის საჭირო ოჯახისათვის, ყველაფერი ეთესა მის ბაღში, და ყველაფერი კარგათაც მოსელოდა. მერე გვაჩვენა დაბლარი ვენახი, *) რომელსაც თითქმის ნახევარი ქცევა მიწა ეჭირა. ვაზები იყვნენ შარშანწინდელი ჩაყრილნი, გამოსაცდელათ; მასპინძელი გვეუბნებოდა, რომ თუ ამათ ივარგეს და ესენიც ისე არ წახდნენ, როგორც მაღლარიო, მაშინ ამ ჩემს ბაღს სულ დაბლარით გავამსებო, და მართლაც იმას წელსა ახალი ვაზები ბევრი შეემატნა თავის ბაღისათვის. მაშინ ამ ვაზებს ყურძენი ისე ესხა, რომ მეტი არ შეიძლებოდა და ახლა კი არ ვიცი, შერჩა თუ წახდა.. Იმის დათვალიერების შემდეგ სახლში წამოგვიყვანა, კარგი სადილი გვაჭამა და გამოგვისტუმრა. მაგრამ, მანამ ჩვენ მასპინძლის სახლში ვიყავით, მასპინძელი ისე ხერხიანად მოგვექცა, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. ᲗᲘთონ ჩვენგანი ისე დაასაჩუქრა თვითოეული საჩუქრითა, რომ თვით ჩვენ ვერ გავიგეთ. Ეს არ ვიცი, რათ ქნა ესრე! Უთუოთ იმან იცოდა, რომ ცხადათ ჩვენ არ მივიღებდით საჩუქარსა ამისაგანა. როცა უკან მოვედით სახლში, ერთმა ჩვენგანმა ამოიღო ნაჩუქარი და სქვა.. „Აი, Ბრიგოლმა მე რა მაჩუქაო“. Ამ სიტყვაზედ მეორემ ჩაიყო ხელი ჯიბეში და იმანაც ნაჩუქრები გვაჩვენა, მერე მესამემ, მერე მეოთხემ... მერე მე და ყველამ; ყველას გამოგვაჩნდა თითო რამე მასპინძლისაგან ნაჩუქარი *)...

Დ. Ბარნაბისშვილი.

ᲗᲘბათვის 15-სა დღესა.

Სოფ. Მარტვილს.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

Ამ თვის დამდეგს Პარიჟში მუნიციპალიტეტის (ქალაქის) წევრების აღმორჩევა იყო. მკითხველმა იცის, რომ საფრანგეთის მუნიციპალიტეტს ისევ დანიშნულება აქვს და ისევ ეალდებულება, რაც რუსეთის ზემსტვოს ანუ თემობას, ე. ი. იმას აბარია ქალაქის და სოფლების ოჯახობისა, განათლების, ექიმობის და გზების საქმეების გამგეობა. მუნიციპალიტეტის წევრები, როგორც რუსეთის თემობისა, ხალხისაგან ამორჩეულნი არიან. Უკანასკნელ ამორჩევების დროს Პარიჟში, როგორც გაზეთები სწერენ, უმეტესი ნაწილი ისეთი წევრები ამოურჩევიათ, რომელნიც ზომიერ რესპუბლიკელების პარტიას ეკუთვნიან და Თიერის მმართებლობას არ ეწინააღმდეგებიან, რადგან ჯერ-ჯეროობით Თიერის მოქმედებიდამ სჩანს, რომ იმას ჰსურს საფრანგეთში რესპუბლიკის დაფუძნება. მაგრამ ამ გვარ პირებს გარდა, ზოგიერთი ისეთებიც ამოურჩევიათ, რომელნიც ადრე კომუნის მომხრეთ ირიცხებოდნენ, მაგალითად Ლოკრუა, მოტიუ, რანკი, Ბონვალე და ზოგი სხვანი, და ამ გარემოებას პროვინციებში შეუშინებია, ვაი თუ იმათ ხელახლავ აურ-დაურიონ საფრანგეთის საქმეებიო. ნაციონალურს Ქრებაში ამ ჟამად მუნიციპალიტეტის თაობაზე ახალი კანონია შეტანილი და შინჯავენ. Ეს ახალი კანონი ანუ წესდებულება, როგორც სწერენ, ჯერ-ჯეროობით მხოლოთ საფრანგეთის პროვინციებს შეეხება. Რესპუბლიკური გაზეთები ძალიან უკმაყოფილებას აცხადებენ ზოგიერთ ამ წესდებულების მუხლებზე. სხვათა შორის იმათ არ მოსწონთ, და მართლა არცაა მოსაწონი ის მუხლი, რომლის ძალითაც მუნიციპალიტეტის წევრს ჯამაგირი არ ექნება დანიშნული. Აქედამ წარმოდგება ის, რომ მუნიციპალიტეტის დეპუტატებათ მხოლოთ ისეთ პირებს შეეძლებათ კენჭის ყრა, რომელთაც უჯამაგიროთაც ექნებათ საზოგადოების სამსახურის ღონის-ძიება, ე. ი. მხოლოთ ისეთ პირებს, რომელნიც მდიდრები არიან და თავისუფალი დრო ბევრი აქვთ; და ჩვენ ვიცით, რომ ამისთანა პირები თითქმის ყოველთვის თავის თავისთვის უფრო მომეტებულს ზრუნავენ, ვიდრე საზოგადო სარგებლობისთვის. Ეს კანონი ჯერ არ დაუმტკიცებიათ და, როგორც ამბობენ, ნაციონალურ Ქრებაში ამის თაობაზე ძალიან ცხარე ბაასი იყო და კიდეც იქნებაო, რადგან ნამდვილი რესპუბლიკელები ზემოხსენებულ მუხლს ეწინააღმდეგებიანო. Ამათი აზრით, ის სჯობია, რომ საზოგადოებამ დაუნიშნოს ჯამაგირი თავის წარმომადგენლებს, რადგან მაშინ უფრო პატიოსან და ხალხის

---

*) ხალხში ანდაზათ იტყვიან: „ᲗᲘუ გაქვს სიმართლე, ბეწვის ხიდზე გამოგიჩნდებაო“. Ვითომც ყოველი კაცი სიკვდილის შემდეგ ბეწვის ხიდზედ უნდა გავიდეს; ვინც მართალია, გაივლის, არ გაუწყდება და სამოთხეშიაც შევა, და ვინც ცოდვილნი არიან, გაუწყდება და ჯოჯოხეთშიაც ჩავარდებიან.

**) Ლატანი ჰქვიან წვრილს გრვალს, და სწორე ხეს.

***) Სამეგრელოში უანის შემოღობა იციან; ბევრი უანები, რომ ერთად იქნებიან, იმათ ერთბაშათ ირგლივ ღობეს შემოავლებენ, და თუ შუაში გზა არის, მაშინ იმ გზისათვის თავსა და ბოლოს კარებს შეაბმენ და ის კარები იმ ნაირი ხეღოვნებით არის გაკეთებული, რომ თავის თავათ იხურება.

*) Სამეგრელოში, როგორც ხშირათ Იმერეთშიაც, ვენახი ისე არ იციან, როგორც Ქართლში და Ქახეთში: აქ ვაზები ხეებზედ არიან გაშვებულნი და ამ ნაირს ბაღს ჰქვიან „მაღლარი“. Ქართლში და Ქახეთში კი ვაზები დაბლა ხეებზედ არიან მიკრული და იმას ეძახიან „დაბლარსა“.

*) Მეგრელებს სხვათაშორის ჩვეულებათ ჰქონიათ,—რომ როდესაც სტუმარი ეწვევათ, მისვლის მიზეზს არა ჰკითხავენ, თუნდ სამი დღეც დარჩეს იმასთან, და როდესაც სტუმარი გაბრუნდება, მასპინძელი, თვისდა სახსოვრად, უსათუოთ აჩუქებს რასმე.

სიკეთისეის გულ-შემატკივარ კაცებს ექნებათ მუნიციპალიტეტში შესვლისა და საქმეების გამგეობის უფლება.

საფრანგეთის ერთგული კათოლიკენი (კლერიკალები) ძალიან სწუხან რომის პაპის უბედურებაზე. ეს უბედურება მდგომარეობს იმაში, რომ იტალიის კოროლმა წაართვა მას რომის მაზრა, ესე იგი ჩამოართვა საერო უფლება და ახლა ის მხოლოთ კათოლიკე ეკკლესიის თავია და არა რომის ხელმწიფე. სხვათა შორის ნაციონალურს კრებაში კლერიკალურ დეპუტატებს შეუტანიათ ქაღალდი, რომლითაც ისინი თხოულობენ, რომ საფრანგეთმა ნება არ უნდა მისცეს იტალიის კოროლს, რომ ასე დაამციროს რომის პაპის ღირსებაო. ამ საქმის თაობაზე ივლისის 22-ს ნაციონალურ კრებაში ძალიან გაცხარებული ბაასი და შეტაკება ყოფილა სხვა და სხვა პარტიებ შუა; მაგრამ ბოლოს ტიერს უთქვამს სიტყვა, რომელშიაც გამოუცხადებია, რომ ჩვენ მხოლოთ თანაგრძნობა შეგვიძლია რომის პაპისა, მაგრამ დახმარება კი არ შეგვიძლიაო, რადგან ამ შემთხვევაში, უეჭველია, იტალიის კოროლთან ომი დაგვჭირდებაო და იმას კი ეხლა თითქმის ყველა უმთავრესი ევროპის სახელმწიფოები თანაუგრძნობენო. ქლერიკალებს გარდა, თითქმის ყველას და აგრეთვე ბამბეტასაც მოსწონებია ეს ტიერის აზრი და დათანახმებიან იმას.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

შვეიცარიის კანტონს ორი ახალი კანონი გამოუცია: ერთი სახალხო განათლების თაობაზე და მეორით გადაუწყვეტია, რომ რაც უნდა მძიმე დამნაშავე იყოს, სიკვდილით არ უნდა დაისაჯოსო. იქაურ სამმართველო ქრებაში განსაკუთრებითი გაელენა, როგორც „ს. პეტერბურღის უწყებების“ კორრესპონდენტი იწერება, დელა-რიესა და ქარლო-ფოხტს აქვს თურმე, რომელნიც რადიკალურ პარტიას ეკუთვნიან. ამას წინეთ ერთ რადიკალურ დეპუტატს—ბროსლენს—შეუტანია იქაურ რჩევაში წინადადება, რომ ჩვენი სხდომების გახსნას წინ ლოცვის წაკითხვა მოვსპოთო. მთელმა რჩევამ ეს წინადადება ალტაცებით მიიღო და ყველა დათანხმდა, რომ ლოცვის კითხვა გადაეგდოთ. მაგრამ ამ დროს წამოდგა თურმე გამოჩენილი ქარლ-ფოხტი თავის ადგილიდამ და სთქვა, რომ ერთი ლოცვის წაკითხვის მოსპობა არაფერს არ შეადგენს, სჯობს სახელმწიფო სარწმუნოება მოვსპოთო, ე. ი. ეისაც რა სარწმუნოება ჰსურდეს, ის მიიღოსო.

რუსეთი

ს. პეტერბურღის სამოსამართლო პალატამ ივლისის 15-ს შემდეგი განჩინება დაადგინა ნეჩაევის საქმის თაობაზე, რომლის გაგრძელება დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში:

„სამოსამართლო პალატამ, განიხილა რა საქმე იმ შეთქმულობის თაობაზე, რომელსაც ახლანდელი სახელმწიფო წყობილობის დამხობა უნდოდა, 11 პირის შესახებ, შემდეგი განჩინება დაადგინა:

„1) აზნაური პ. უსპენსკი—22 წლისა, საპატიო მოქალაქე ა. ქუზნეცოვი—24 წლისა, გადამდგარი კოლ. სეკრეტარი ი. პრიჟოვი—42 წლისა და ეაჭრის შვილი ნიკოლაევი—19 წლისა—პალატამ იცნო დამნაშავედ იმაში, რომ ისინი იყვნენ თანა მონაწილენი საიდუმლო საზოგადოებისა და, ნეჩაევის წაქეზებით, აგრეთვე მიიღეს მონაწილეობა ივანოვის მოკვლაში.

„2) მღვდლის შვილი ი. ფლორინსკი—24 წლისა—დამნაშავეა იმაში, რომ იცოდა ამ საზოგადოების არსებობა და მიიღო მონაწილეობა იმის მოქმედებაში.

„3) აზნაური პ. ტკაჩოვი—27 წლისა—და ეაჭრის ქალი ა. დემენტიევი—19 წლისა—დამნაშავე არიან. ტკაჩოვი იმაში, რომ იმან შეთხზა პროკლამაცია „საზოგადოებისადმი“, რომელშიაც ის აქებს მმართებლობის წინააღმდეგ სტუდენტების მოქმედებას, და დემენტიევა იმაში, რომ იმან თავის სტამბაში დაბეჭდა ეს პროკლამაცია.

„4) მღვდლის შვილი არლოვი, აზნაური ვოლხოვსკი, პოლკოვნიკის ქვრივი ტომილოვისა და მღვდლის შვილი ქორინფსკი პალატამ ამ საქმეში დამნაშაველ ვერ იცნო და გაამართლა ისინი.

„ამის გამო სამოსამართლო პალატა შემდეგ განჩინებას სდებს:

„1) უსპენსკის, ქუზნეცოვს, პრიჟოვს და ნიკოლაევს ჩამოერთვას ყოველი უფლება და გაიგზავნოს კატორღაში: (მადნებში) უსპენსკი—15 წლით, დანარჩენი ციხეებში: ქუზნეცოვი—10 წლით, პრიჟოვი—12 წლითა და ნიკოლაევი 7 წლითა და 4 თვით და შემდეგ ყველა ესენი სამუდამოთ უნდა დაესახლონ სიმბირში.

„2) ფლორინსკი 6 თვით უნდა ჩაიმწყვდეს საპყრობილეში და 5 წლით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იქნეს.

„3) ტკაჩოვი უნდა ჩაიმწყვდეს საპყრობილეში—1 წლითა და 4 თვით და დემენტიევისა—4 თვითა.

* * *

მმართებლობამ შეუკვეთა ერთ ქარხანას 200,000 ახალი სისტემის თოფის გაკეთება ჯარისათვის. ამასთანავე სამხედრო სამინისტროს სახელმწიფო რჩევაში შეუტანია ქაღალდი, რომლითაც ამ საქმისთვის მილიონ ნახევარს მანეთს თხოულობს და ამას გარდა ყოველს წელიწადს 771,000 მან.

* * *

ივლისის 17-ს მოსკოვის საავათმყოფოებში სულ 595 ხოლერიანი ავათმყოფი წოლილა. ამ რიცხვიდამ იმ დღეს 43 კაცი და ქალი მომკვდარა. სულ მარტის პირველიდამ 18 ივლისამდი 3,368 კაცი და ქალი ყოფილა იქ ხოლერით ავათ და აქედამ 1,535 სული მომკვდარა. პეტერბურღის საავათმყოფოებში ივლისის 16-ს 586 ხოლერიანი ავათმყოფი ყოფილა და იმ დღეს 26 მომკვდარა. სულ 17 აგვისტოდამ 16 ივლისამდი ხოლერით 6,634 კაცი და ქალი გამხდარა ავათ და ამ რიცხვიდამ 2,704 მომკვდარა. სატახტო ქალაქებს გარდა, ხოლერა ამ ჟამად სხვა პროვინციალურ ქალაქებშიაც გაჩენილა, როგორც მაგალითად რიბინსკში (ძალიან ბევრი იხოცებიან), სარატოვში, ვილნაში, ნიჟნი-ნოვგოროდში, უაზანში, სიმბირსკში, რიგაში და სხვაგან. მაგრამ, ღვთის მადლით, ჩვენში კი არა სჩანს ჯერ ამ საშინელი სენის ნიშანი.

* * *

სამართალი

სხდომა ს.-პეტერბურღის სამოსამართლო პალატისა იმ შეთქმის თაობაზე, რომელიც ახლანდელი მმართველობის წყობილობის დასამხობად იყო შედგენილი.

(მაგრძელება)

„შემდეგმა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ 22 ნოემბერს, ივანოვის მოკვლის შემდეგ, ნეჩაევი და ქუზნეცოვი წავიდნენ პეტერბურღში, სადაც იმათ რაოდენიმე მედიცინის აკადემიის, ტეხნოლოგიის ინსტიტუტის და უნივერსიტეტის სტუდენტები და ზოგი სხვა პირებიც მიიმხრეს თავის საზოგადოებისაკენ, რომლის ცენტრი მოსკოვში იყო. შემდეგ, როდესაც ნეჩაევმა დაინახა, რომ ზოგიერთ იმის თანამოაზრენი დაიჭირეს და საზოგადოება ალმოაჩინეს და შეიძლებოდა ისიც დაეჭირათ, აიყოლია კოლეეჟსკი სოვეტნიკის ალექსანდროვსკის ცოლი და გაიქცა სამზღვარს გაეთ, ჟენევაში. ეს იყო 1869 წ. დეკემბრის დასაწყისში.

„შემდეგ ამისა, უმაღლესის ბრძანებით, დანიშნული იყო პირველდაწყებითი გამოძიება, რომელმანც დაწერილებით ალმოაჩინა ამ საქმის გარემოება. ამ გამოძიებიდამ ალმოჩნდა შემდეგი:

1) 1869 წლის სტუდენტების არეულობაში გარეულნი იყვნენ ზოგიერთი ისეთი პირები, რომელთაც არავითარი პირდაპირი კავშირი არ ჰქონდათ კასასთან და კრებებთან. ეს პირები იყვნენ: ნეჩაევი, ტკაჩოვი და არლოვი.

2) როდესაც მმართებლობამ მოსპო სტუდენტების არეულება და არ დაკმაყოფილა ისინი, ე. ი. როდესაც იმათ კასის და კრებების ქონების უფლება, არ მისცა, მაშინ ზემოხსენებულთა პირთა განიზრახეს მმართებლობაზე უკმაყოფილების ალძერა მთელს ხალხში და ხალხის აჯანყება.

3) ამ განზრახვის ასასრულებელათ ზემოხსენებულ პირთა ჰქონდათ ერთმანეთში კავშირი: ნეჩაევს სამზღვარ გარეთ გაქცევისა და ცხოვრების საშუალება მისცეს და ავრცელებდენ მმართებლობის წინააღმდეგ პროკლამაციებს.

4) შემდეგ ამ განზრახვითვე 1869 წ. შემოდგომაზე, როდესაც ნეჩაევი დაბრუნდა რუსეთში, შეადგინეს საიდუმლო საზოგადოება, სახელათ „სახალხო განკითხვა,“ რომელსაც, მოსკოვსა და პეტერბურღს გარდა, ვლადიმირში და იაროსლავში ყავდა წევრები და რომელსაც კაცის მოკვლაც არაფრათ მიაჩნდა თავის განზრახვის ალსასრულებლათ, როგორც ივანოვის მოკვლის მაგალითი გვიმტკიცებს.

5) ეს შეთქმა, ანუ განზრახვა მმართებლობამ დროზე ალმოაჩინა, ასე რომ იმას არავითარი ცუდი შედეგი: არც არეულობა, არც ხალხის ალძერა არ ჰქონია. ყველა ზემოხსენებული საფუძვლების გამო?

1) აზნაურს პეტრე უსპენსკის,

2) ვაჭრის შვილს ალექსი ქუზნეცოვს

3) ბადამდგარ კოლლეჟსკი სეკრეტარს ივანე პრიჟოვს და

4) მოსკოვის მოქალაქეს ნიკოლოზ ნიკოლაევს—ბრალდებათ: პირველად იმაში, რომ 1869 წ., შემოდგომაზე, ნეჩაევთან ერთად, შეადგინეს მოსკოვში საზოგადოება იმ აზრით, რომ მთელს სახელმწიფოში დაამხონ მმართებლობა და რუსეთში გამოსცვალონ მმართებლობის ფორმა,—და მეორეთ იმაში, რომ წინათვე განზრახვით და ნეჩაევის წაქეზებით მოკლეს პეტროვის აკადემიის სტუდენტი—ივანოვი.

5) პეტროვის აკადემის სტუდენტს ივანე ფლორინსკის ბრალდება, რომ იცოდა ამ საიდუმლო საზოგადოების განზრახვა და ეხმარებოდა ამ საქმეს.

6) მღვდლის შვილი ვლადიმირ არლოვი,

7) აზნაური ფელიქს ვოლხოვსკი,

8) ქანდიდატი პეტრე ტკაჩოვი და

9) მყოფი სტუდენტი მედიცინის აკადემისა მიხეილ ქორინფსკი მტყუენდებიან იმაში, რომ განიზრახეს ახლანდელ სახელმწიფო წყობილების დამხობა და ამ საქმისთვის მოსამზადი ბოქმედებაები ჩაიდინეს, მაგრამ მმართებლობამ, დაწყებისა თანავე, შეიტყო ეს განზრახვა და მოსპო.

10 პოლკოვნიკის ცოლს ელისაბედ ტომილოვისას ედება ბრალი იმაში, რომ ნეჩაევს და ოლლოვს საქმით ეხმარებოდა, მაშინ, როდესაც იცოდა, რომ იმათ სახელმწიფოს წინაალმდეგი განზრახვა ჰქონდათ, და ბოლოს

11) ალექანდრა დემენტიევის ასულს ბრალედება რომ საიდუმლოთ დებეჭდა თავის სტამბაში და საზოგადოებაში აერცელებდა პროკლამაციას სახელათ: „საზოგადოებისადმი“, იმ განზრახვით, რომ ხალხში ცხადი ურჩობა აღძრას უმაღლესის უფლებისა.

ამის გამო ზემომოყვანილი თერთმეტი პირი მიეცემიან ს. პეტერბურღის სამოსამართლო პალატის სამართალში,“

(ამით თავდება გამაძტყუნებელი აქტი. შემდეგ ნომერში ჩვენ მოვიყვანთ უფრო შესანიშნავ ჩვენებებს.)

ნარევი

* * *

ამ ახლო ხანს ბელგიის ქალაქში ლოზანაში მომკვდარა ერთი მდიდარი რუსი, სახელათ რიუმინი, რომელსაც ზემოხსენებული ქალაქისთვის ერთ მილიონ ნახევარი უანდერძნია რომელიმე საზოგადო სასარგებლო საქმისათვის. ამ ფულებით, როგორც ამბობენ, ქალაქს ჰსურს თურმე ლოზანაში უნივერსიტეტის გამართვა. „ს. პეტერბურღის უწყებაები“ ძალიან საყვედურს აცხადებს ამის თაობაზე: თითქო ჩვენ არ გვჭირია შკოლები და უნიეერსიტეტები, ჩვენთვის რომ ეანდერძებია, ის არა სჯობდაო.

* * *

რუსულს იუმორულს გაზეთში „ნაბერწკალში“ (Искра) დაბეჭდილია შემდეგი:

„ექნება მკითხველს გაეგონოს ის არაკი, რომ ერთმა კაცმა, რომელიც შორს მიემგზავრებოდა, გაზეთში გამოაცხადა, რომ ჩემი თანამოგზაურობა თუ ვისმე გსურთ ჩემთან მოდით და ერთად წავიდეთო. ერთხელ შუადამისას გამოალვიძა ვიღაცამ და უთხრა:

— თქვენ გამოაცხადეთ, რომ თანამოგზაურს ეძებთ?

— დიახ.

— მე მოვედი გითხრათ, რომ არ შემიძლია თქვენი თანამოგზაური ვიქნე, რადგან მე თუმც შორს მივემგზავრები, მაგრამ სულ სხვა გზით მივდივარ...

ეს არაკი შემდეგმა გარემოებამ მოგვაგონა ჩვენ:

შარშან ჩვენი გაზეთის მეოთხე ნომერში დაბეჭდილი იყო: მართალია? რომ ერთმა ქალაქმა, რომელიც თფილისის გზაზეა, დანიშნა ორი პირისაგან დეპუტაცია, რომელსაც პეტერბურღში უნდა ეშუამდგომლებინა, რომ რკინის გზა ამ ქალაქში გაეყვანათ და რომელსაც მისცა 6,000 მანეთი, მაგრამ ამ პირებმა სრულებით ამ საქმისთვის არ მოიხმარეს ეს ფულები?“

ამ შენიშვნაში არც ქალაქისა და არც დეპუტატების სახელები არ იყო მოხსენებული, მაგრამ ამ დღეებში ბუთაისიდამ მივიღეთ ჩვენ წიგნი, რომელშიაც სახლის-პატრონი თავადი მიხეილ წერეთელი გვწერს, რომ ეს ამბავი სრულიად ტყუილიაო, მართალია ჩვენ ვიყავით პეტერბურღში, მაგრამ ზიორგის ჯვრის დღესასწაულზე და არა დეპუტაციათო და არაკითარი ფულები ქალაქს ჩვენთვის არ მოუცია, მაშასადამე ეს ამბავი ჯავრი და ცილის წამება არისო.

* * *

— ამას წინეთ ლონდონში დიდი არეულობა ყოფილა; ერთი ქარხნის მუშებს პირობა მიუციათ ერთმანეთისთვის, თუ ჯამაგირს არ მოგვიმატებს ჩვენი ალა, ნუ ვიმუშავებთო. როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, ქარხნის პატრონი არ დათანახმებულა და მუშები რამდენიმე დღის განმავლობაში დადიოდნენ თურმე ქუჩებში არეულობას ახდენდნენ.

* * *

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

მომავალ კვირას გამოვა სრულათ დაბეჭდილი

ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ ᲡᲘᲪᲠᲣᲘᲡᲐ

თქმული

საბა სულხან ორბელიანისაგან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Іюля, 1871 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.